



საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

6 ივნისი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №85

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა პრემირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №49 დადგენილების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობის შედეგებში შეტანილი თითოეული საჯარო მოსამსახურის პირადი წვლილისა და საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, მიეცეთ პრემია 450 ლარის ოდენობის გამგეობის შემდეგ საჯარო მოსამსახურეებს:

1. ნათია ვაშალომიძეს - შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის საკითხებში, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმიანობის სამსახურის უფროსი;

2. მერაბ წიგწივაძეს - ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი;

მუხლი 2. ბრძანება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი